# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

## სამშაბათი 1 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 93 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 93


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

| გაზეთის ფასი: | | |
|---|---|---|
| | ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| | ნახევარი წლით . . . . | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით . . . . | 3 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისე ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

ქვრივი კნეინა მათიკო ფაღავასი და შვილი პატუ ფაღავა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, სამ ივლისს, ს. ზანძის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება გადაცვალებიდან, ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი პირველის დაუვიწყარი ქმრის და მეორის საყვარელი მამის

**ხარდიონ მურძაყანის ძის ფაღავას**

სულის მოსახსენებლათ.

---

ექიმის ივ. ზოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

ქ უ თ ა ი ს ი

## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. . . . . . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის . . . . . | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე . . | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . | 12—2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | 12 1/2 2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით . . . . | 4 1/2—5 1/2 |
| გ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . | 5 1/2—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოღოშვილი**

---

## მევენახეთა საყურადღებოთ

ძმა ქორქოლაძეების მაღაზიაში

**ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური **შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.




მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.**

---

## მ უ შ ა ო ბ ს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ქორქოლაძეების

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო აბანო.

აბანო მდებარეობს მშვენივრ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს** (**რევმატიზმს**) სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას** (**მალარიას**) **კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

---

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

---

სპეციალური წიგნის მაღაზია

## კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

---

**ექიმი** ბ. ა. **მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8. ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიულს** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

ხალვთო სჯულის მასწავლებელთა

## საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული სალვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

---

სტუდენტი.

## ვარლამ ფერაძე

ამზადებს მოწაფეებს **ყველა საგანში საშუალო სასწავლებლების** კლასებისათვის; აგრეთვე ამზადებს: აფთიაქის მოწაფეებს, 1 კლ. ჩინზე და სხვა.

ფასები ძლიერ ხელმისაწდომია.

მისამართი: ფოსტის შესახვევი, კ. მკურნალის სკოლა. ნახვა შეიძლება: დილით 9—12 საათ. საღამოთი 4—7 საათ.

---

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოჯოლავასი.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **გ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ქ. ქუთაისში**

კბილის ექიმი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**

---

**ექიმი** **ი. ა. ცხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

---




---

## ჩვენი პრესა.

ჟურნალ „კლდეში“ ბ. დ. ვაჩნაძე სწერს:

საქართველო სავსეა მდინარეებით, წყაროებით და იწვის კი „უწყლოობით“!.. ამიერკავკასიაში ჩვენ გარდა ყველა მუშაობს და მეცადინეობს, რაც შეიძლება მეტი წყალი გაიყვანოს თავისაკენ და ამით ჩვენი წყლებით თავისი საქმეებიც გამოაკეთოს; ჩვენ კი ამ სეირს შორიდან ვუყურებთ და ვწუწუნებთ.

ხვალ მუღანის უდაბნოს „მოღვაწენი“ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებს სრულიად შეკრავენ (კანონის ძალით) და ერთს წვეთსაც აღარ დაგვითმობენ, ჩვენ კი ცხარე მოქმედების მაგიერად ვსხედვართ და... ვწუწუნობთ.

მაგალითად, დარწმუნებული ვარ, ქართველობის უმრავლესობას არც კი გაუგონია რომ ამ წლის ქრისტეშობისთვის 7-ში ამ მნიშვნელოვან საკითხის გამო „კავკასიის სამელიორაციო კრება“ იკრიფება, რომელსაც მიზნადა აქვს ამიერკავკასიის წყლებს მოუაროს და ახალი გზები გაუკაფოს საირრიგაციო საქმეს.

უმეტესი ნაწილი ამიერკავკასიის წყლებისა საქართველოს ეკუთნის. მაშასადამე, უმთავ-

რესათ ქართველებმა უნდა იზრუნონ თავის კუთნილებაზე. ამისათვის კი საჭიროა ახლავე სერიოზული და ბეჯითი მომზადება, რომ ამ კრებიდან მართლაც რაიმე სარგებლობა ვნახოთ და ჩვენი ქვეყნის მეურნეთა წრეებს მივეშველოთ.

არც ისე ღარიბნი ვართ სპეციალისტ მცოდნეებით, რომ გვარიანად ვერ წარვუდგეთ ამ კრებას და საბუთიანად არ დავუმტკიცოთ, რომ მთავრობა მოვალეა მიეშველოს თავისი ხარჯით და ტეხნიკური ძალებით ჯერ იმ პროვინციებს, რომლის მეურნეობასაც წყალი ეკუთნის. და მასთან წარვუდგეთ შესაფერისი სტატისტიკური მასალებით, რომ საქართველოს სჭირია აუცილებლათ სარწყავი წყალი. ჩვენი დაწესებულებანიც—სამეურნეო საზოგადოება და საადგილ-მამულო კომისია ახლავე უნდა შეუდგენ ამ სტატისტიკური მასალების შეკრებას. ეს მით უფრო ადვილია, რომ „სამელიორაციო კრების“ ბიურომ თავის ბიულეტენში, ნომერ. 5. გამოაქვეყნა საანკეტო კითხვები, რომელზეც სწორი პასუხისგაცემა მდიდარ მასალებს მიაწოდებს ქართველ მომხსენებელს. თფილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზიც დიდ მონაწილეობას იღებს ამ საქმეში (როგორც ინიციატორი ხსენებულ კრების მოწვევისა და კომიტეტის წევრი) და დაუგზავნა ჩვენს პროვინციის დაწესებულებათ და მოღვაწეებს მოწოდებანი, სადაც მოითხოვს, რომ ყველა შეგნებული ქართველი ყურადღებით მოეკიდოს ამ საქმეს და სწორი პასუხი გასცეს საანკეტო კითხვებზე. ერთი სიტყვით. საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მასალის შეკრება დღევანდელ საქართველოს საირრიგაციო საქმის მდგომარეობის გამოსარკვევათ. აქიდან ნამდვილად გავიგებთ სად რა წყალი გვაკლია, რამდენი. რაგვარი მიშველებაა საჭირო და სხვა და სხვა,

## ქუთაისის ქართული გიმნაზია.

პრესისა და საზოგადოების გულის ყური, ამ ჟამად ქუთაისის ქართულ გიმნაზიას უპყრია, მთავრობის უკანასკნელმა განკარგულებამ, გიმნაზიის გამგის ბ-ნ ი. ოცხელისა და მასწავლებელ ს. ხუნდაძის დათხოვის შესახებ, საზოგადოება სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ,,იოსებ ოცხელის გიმნაზიის ხელმძღვანელობა ჩვენს საზოგადოებრივ აზრს სხვებისათვის მაგალითად მოჰყავდა და ახლა კი ასეთის სასჯელით დაგვირგვინდა ქებული მუშაობა. ნუ თუ ატ[?]ბუნებრივი და კანონიერი არ არის იკითხოს საზოგადოებამ: რად გვიმალავთ „გამოძიებულს“, ამბობს გაზეთი ,,თემი‘‘.

ამავ საკითხს ეხება ჟურნალი ,,კლდე‘‘ და ბ. კორიცკის შესახებ სწერს:

„იგი სიყვარულითა და მეგობრულად კი არ მივიდა სასწავლებელში, არამედ მტრულად, როგორც „ნაჩალნიკი“ თავის მოხელეებთან და შეურაცხჰყო იგი, თავისი უნდობლობით. რასაკვირველია, უნდობლობა დაბალ მოხელეებისადმი მაღალისაგან—ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, მაგრამ, როდესაც იგი ვრცელდება საზოგადო დაწესებულებაზედაც და ისეთს უხეშ ფორმებსაც იღებს, როგორც იგი გამოხატა ბ-ნმა კორიცკიმ, —იგი აუტანელი ხდება. ვერ აიტანა იგი გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომაც და ამისათვის დასაჯეს და დასაჯეს ორგვარად: დაითხოვეს დირექტორი და ინსპექტორი და ეგზამენების თავჯდომარედ დანიშნეს ისევ... ბ-ნი კორიცკი; ის კორიცკი, რომელიც მიზეზი შეიქნა იმ აუტანელი მდგომარეობისა, რაც ქუთაისის გიმნაზიას დაატყდა თავსა.‘‘

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

ამ ჟამათ ქუთაისის ბაზარზე აუარებელი აბრეშუმის პარკი შემოდის. წელს პარკს ფასიც კარგი აქვს, მაგრამ, საუბედუროთ, გამყიდველები ხელში ჩარჩებს უვარდებიან. რამდენსამე სხვილ მყიდველებს დაქირავებული ყავთ აგენტები, რომელნიც სოფლელებს ქალაქში შემოსასვლელ ადგილებში ხვდებიან და ატყუებენ. სასწორზე კიდევ მყიდველებს პარკი სამ ხარისხათ დაუყვიათ და ვისაც მოითავხელებენ პირველი ხარისხის პარკს მესამე ხარისხათ ართმევენ და ამრიგათ ფუთში 5 მანეთის მეტს აკლებენ. საჭიროა მეტი ყურადღება.

✦ 20 ივნისს ქალ. თეატრში ახალგაზდა მგოსნის ნოე ჩხიკვაძის საღამოს ხალხი ცოტა დაესწრო. საღამო შინაარსიანი იყო. ლორთქიფანიძის რუსულ-ქართულმა სიმღერებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

✦ ამ წლის 1 იანვრიდან მაისის დამლევამდი ჭიათურიდან გაუზიდავთ სულ 32,5102,500 ფუთი შავიქვა.

✦ 28 ივნისს სასულიერო სასწავლებელში დასრულდა სამრევლო სკოლების მასწავლებლების კურსები. ლექტორი ივანოვი გრძნობიარე სიტყვით გამოემშვიდობა მასწავლებლებს, უსურვა მათ ნაყოფიერი მოღვაწეობა. პატივცემული მოხუცის სიტყვებმა მხურვალე ტაშისცემა გამოიწვია მასწავლებელთა შორის. შემდეგ მასწავლებლები 20 წუთით შეიკრიბენ, მათ ერთხელ კიდევ დაგმეს მუნჯური მეთოდი და ერთმანეთს აღუთქვეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მათ დაიწყონ სწავლება 81 წლის გეგმის მიხედვით. აგრეთვე მოილაპარაკეს, რომ სხვა ამხანაგებსაც სთხოვონ, პრესის საშუალებით, რომ მათ მხარი დაუჭირონ. შემდეგ გადაიხადეს პანაშვიდი განსვენებული ეგზარხოსის სულის მოსახსენებლათ, რის შემდეგაც ღვ. რაჟდენ ხუნდაძემ მასწავლებლებს გრძნობიარე სიტყვით მიმართა და უსურვა პირნათლათ შესრულება მძიმე მოვალეობისა.

✦ 29 ივნისს, ქალაქის თეატრში გამართულ წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო. წარმოდგენამ სუსტათ ჩაიარა. საზოგადოება უკმაყოფილოთ დარჩა.

✦ ბათუმიდან მაისის განმავლობაში, საზღვარგარეთ გაუზიდავთ სულ 2438293 ფუთი შავიქვა.

✦ როგორც სვირიდან გვწერენ, 26 ივნისს იქ ადიდებულ მდ. ყვირილაში დამხრჩვალა გრიშა ღვანიძე. ის თავის პატარა ძმით სახლისკენ მიდიოდა, როცა წყალში ჩასულან გრიშა წყალს მოუტაცია. უფროსი ძმა დამხრჩვალა, პატარა გადაურჩენიათ.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის ყველა ქუჩაში მეეტლეებს თავისი ცხენები ეზოებშივე ყავთ. ამის გამო ზაფხულობით ცუდი სუნი სდგას, ბუზებს აჩენს და ავათმყოფობასაც ავრცელებს. ამ გარემოებას ქალაქის გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

✦ ამ ჟამათ ქუთ. გუბერნიის წინამძღოლი თავად დ. ო. ნიჟარაძე თფილისში იმყოფება ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის საქმეების მოსაწესრიგებლათ. თფილისიდან იგი ქ. პიატიგორსკს გაემგზავრება, სადაც ამ ზაფხულს იქ დაყოფს.

✦ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში მერვე კლასის მოწაფეებთიგან სულ დაშვებულია მომავალ ეგზამენებზე აგვისტოსთვის 48 კაცი.

✦ დღეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება ქუთ. დრამატიული საზოგადოების გამგეობის მორიგი სხდომა. სხდომაზე შემდეგი საქმეებია გასაწესრიგებლათ: 1) განაწილება წევრებთა შორის საქმეებისა; 2) მხატვრის დაქირავება, რომ იგი აქიდანვე შეუდგეს დეკორაციების ხატვას; 3) მსახიობების მომატება და სხვა.

✦ 29 ივნისს კათოლიკების ეკლესიის პირდაპირ საბანაოთ მდ. რიონში ჩავიდა ქართველი კათოლიკე ბაგრატ ბათმანაშვილი. ადიდებულმა მდინარემ ბათმანაშვილი გაიტაცა და დაახრო. რამდენსამე ხანს შემდეგ იმის გვამი ბორანის მახლობლათ ამოიღეს.

✦ ეს სამი დღეა ქუთაისში დიდი სიცხეები დაიკავა.

✦ ჩვენი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი რომელიც ავათ იმყოფება, ამ ჟამათ თავს უკეთ გრძნობს.

✦ ქვარიანების ქუჩა ამ ჟამათ დიდათ გაფუჭებული არის. ცუდი ამინდების დროს იქ ისეთი ტბები დგება, რომ ეტლებსაც კი უჭირს გასვლა. თითქმის ეს ერთადერთი გზა არის საფიჩხის სასაფლაოსკენ მიმავალი და ასეთ ცუდ მდგომარეობაში კი იმყოფება. ამ გზის შესახებ ამ ერთი თვის წინათ ამ ქუჩის მცხოვრებლებმა ახალ გუბერნატორს თხოვნა მისცეს, რომ შეეკეთებიათ. გუბერნატორმაც განკარგულებმა მოახდინა და ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ გაგზავნოს თავისი ტეხნიკი, შეამოწმოს გზა და შემდეგ შეკეთდეს ქალაქის კასის ფულით.

✦ ივლისის განმავლობაში საოლქო სასამართლოში შემდეგ რიცხვებში მოხდება საქმეების გარჩევა; 1, 3, 5, 8, 10, 11, 15, 17, 18, 25 და 29 ში. სულ 11 დღეს.

✦ ჭიათურის შავიქვის სამრეწველოს საავათმყოფოს გამგეობა ატყობინებს ქუთაისში შავიქვის საბჭოს, რომ უკანასკნელ სხდომაზე ფინანსიურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მისცეს მომხმარებელ ამხანაგობას „ჩვენ ოჯახს“ იჯარით საავათმყოფოს პურით დაკმაყოფილება. მაგრამ ხსენებულ ამხანაგობას პურის გამოწერა არ შეუძლია რადგანაც მას საკმარისი თანხა არ მოეპოვება, ძველი მეპურე კი ივლისის პირველიდან აღარ მოგვცემს. ამისთვის სთხოვენ საბჭოს მისცეს ამხანაგობას ფული, რომ პურის გამოწერა არ დაუგვიანდეს.

✦ ოცდაცხრა ივლისს ორპირის ქუჩაზე საღამოს 7 საათზე ალექსანდრე კვანტალიანის სახლში ჯიბის დანა ჩაიკრა გულში ბიკტორ კვანტალიანმა. იგი არ მომკვდარა, მიზეზი გამოურკვეველია. როგორც თვითონ აღიარა ის მთვრალი ყოფილა.

✦ გუშინ სავლეხო საკრებულოში შესდგა წევრების მორიგი კრება. კრებას გასარჩევი ჰქონდა:

1) დასკვნა სოხუმის ქალაქის გამგეობისა შესახებ რკინის გზის სადგურის აგებისა შავი ზღვის ნაპირის მომავალი რკ. გზისთვის;

2) საჩივარი ქალაქის გამგეობაზე მაძებარი პოლიციის ყოფილი უფროსის ჩემინავასი, რომ ქალ. გამ. იგი არ დააკმაყოფილა ბინის ქირით.

✦ გუშინ ქუთ. დანიშნული სალვამიჩავოს 5 კომპლექტიანი სკოლის საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, მოვაჭრეთა გამოუცხადებლობის გამო. ვაჭრობა 4 ივლისისთვის გადაიდვა, რომელიც მოხდება სახ. მასწ. დირექტორის კანცელარიაში.

✦ ივლისის პირველიდან მომავალ სეზონამდი ქალაქის თეატრში არავითარი წარმოდგენები არ გაიმართება, ვინაიდან ამ მოკლე ხანში შენობის შეკეთებას შეუდგებიან.

✦ მეფის მოადგილის კანცელარია სთხოვს ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს 1913 წლის ქალაქის [illegible] ლის ანგარიში, [illegible] კანცელარიას სჭირდება მომავალი 1915 წლისთვის, კავკასიის კალენდრის შესადგენ მასალათ.

✦ 29 ივნისს, დღისს 3 საათზე, მესამე ალექსანდრეს ქუჩაზე ალექსანდრე ჩაჩავას თავის სახლში, ლევორველის შინჯვის დროს ტყვია გაუვარდა და მარჯვენა ხელში მძიმეთ დაიჭრა.

# თფილისი

ახალი სკოლა. ს. ე ბილანოვის ასულმა მიმართა თხოვნით სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მისცეს ნება გახსნას ნაძალადევში ,ირველი სეკტემბრიდან მოსამზადებელი სასწავლებელი ორივე სქესის ბავშთათვის პროგიმნაზიის კურსით.

— კვირას, 29 ივნისს, ქაშვეთის ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი ვ. ბ. ლორთქიფინიძისა და შ. ჩიტაძის სულის მოსახსენებლათ.

— ამ დღეებში თფილისს ესტუმრა ცნობილი ორიენტალისტი აკადემიკოსი ნ. მარი. იგი ამ კოკლე ხანში თელავის მაზრისაკენ გაემგზავრება.

— ხელოსანთა დასვენების ხებშესა თფილისის ხელოსანთა სამართველომ გუბერნატორს სახელოსნოთა პატრონებისაგან 228 განცხადება გადასცა. განცხადებაში თხოულობენ გუბერნატორის მიერ 27 თებერვალს დამტკიცებულ ნორმალური დასვენების წესების შეცვლას და ახალი წესების გამომუშავებას ხელოსანთა წარმომადგენლების თანადასწრებით.

## დაუმსხურებელი ბრალდება.

„ტალღის“ პირველ ნუმერში მოთავსებული იყო ფრიად შემაწუხებელი და მასთან სიმართლეს მოკლებული ამბავი, ვითომც ბ. როინიშვილი საუნივერსიტეტო გაფიცვების დროს ლექციებზე დადიოდა და ამისთვის იგი ხარკოვის ქართულ სათვისტომოს გამგეობაში წევრობიდან გამოირიცხაო. ჯერ ხარკოვის ვითომდა ქართულ სათვისტომოს გამგეობას თუ ცოტაოდენი გამბედაობა არ აკლია, თავის თავს კანონიერ გამგეობათ არ უნდა სთვლიდეს, ვინაიდან სტუდენტობის უმრავლესობამ მათ უკვე დიდიხანია რაც უნდობლობა გამოუცხადა ყველა იმ ბოროტმოქმედებისთვის, რომლის შესახებაც ,,ახალმა მეთვალყურემ‘‘ ,,სახალხო გაზეთის“ საშუალებით საზოგადოებას ამცნო და იმ საქციელისთვის, რომელიც ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა.

## საფრანგეთის იაკობინელები და ჩვენი სოციალ-დემოკრატები.

იხ. „იმერეთი“-ს 87-ე №.

31 მაისსა და 2 ივნისს 1793 წ. პარიზი აჯანყდა და ჟირონდისტები დამარცხდენ. ბევრმა პროვინციამ მხარი დაუჭირა ჟირონდისტებსა და აჯანყდა პარიზის წინააღმდეგ. ბევრმა სადეპარტამენტო დაწესებულება უარყო კონვენტის კომმისსარების ბატონობა. ეს იყო აჯანყება ფედერალისტური და ჟირონდისტული. და, როდესაც ეს მოძრაობა ჩააქრეს, კონვენტმა ყველა დეპარტამენტში ახალი მისსიები დანიშნა (აგვისტოსა და სეკტემბერში 1793 წ.). ამგვარად ცენტრალიზაციამ გაიმარჯვა.

კონვენტის წევრების ნახევარი ამ მისსიებში იყვნენ. ისინი გადააყენებდენ ხოლმე საეჭვო მოხელეთ, იწვევდენ ჯარისკაცებს ესწრებოდენ სამხედრო მოქმედებას, ამხნევებდენ ჯარებსა და სხ.

საზოგადო თავდაცვის კომიტეტის წევრების სენ-ჟიუსტისა და კარნოს გაგზავნამ ჩრდილოეთის ჯართან ხელი შეუწყო ამ ჯარის გამარჯვებას. პრიერის მოციქულობამ ხელი შეუშალა ვანდეის აჯანყებას. სენტ-ანდრეს მისსიამ ხელი შეუწყო საზღვაო ძალების გაერთიანებულს, მწყობრ მოქმედებას ინგლისელთა წინააღმდეგ.

კონვენტის კომმისსარები ასრულებდენ პრეფექტობასა და ინტენდანტობას მარტიდან 1793 წ. მაისამდის 1794 წ. მათ ემორჩილებოდა სადეპარტამენტო ადმინისტრაცია. და, როდესაც ფედერალისტური აჯანყება ჩააქრეს, დეპარტამენტების ადმინისტრაცია მონა მორჩილი შეიქნა.

კონვენტმა გამოსცა დეკრეტი, კომმისსარებს მოხელეები დაეყენებიათ ხოლმე, ხალხთან ერთად. მაგრამ აი როგორ სრულდებოდა ეს დეკრეტი. კომმისსარი წინდაწინვე ნიშნავდა მხოლოდ ადგილობრივი იაკობინური კლუბის ერთ-ერთ წევრს, მოიყვანდა მას მოქალაქეთა საერთო კრებაზე და შეეკითხებოდა ხალხს, გინდა თუ არაო. ხალხი იგრიალებდა, „გვინდაო“, და დასახელებული პირიც მოხელედ ჩაიწერებოდა.

კომისსარები უყვარდა ხალხს, როგორც მფარველნი ადგილობრივი ტირანებისაგან.

კომმისსარები ბეგრავდენ მდიდრებს, ართმევდენ საეჭვო პირებს ქონებას ხაზინის სასარგებლოდ და სხ. შემდეგ კონვენტმა დაადგინა, კონვენტისაგან ნებადაურთველად არ მოეხდინათ დაბეგვრა, კონფისკაცია და რეკვიზიცა.

ემისსარები ხშირად დამოუკიდებლად მოქმედებდენ, რაც აიხსნება მით, რომ მაშინ არ იყო არც კარგი გზები, არც დეპეშა.

1793 წლის ბოლოს საფრანგეთში მხოლოდ მანტანიარული, გაერთიანებული, იაკობინური წესწყობილება სუფევდა. ხალხი ემორჩილებოდა მთავრობას, რადგან ფედერალისტური მოძრაობა ჩამქრალი იყო.

პირველი პრეფექტები—კონვენტის კომმისსარები იყვნენ. შემდეგ, 4 დეკ. 1793 წ., კომისარები გაიწვიეს და მათ ნაცვლად დანიშნეს საერო აგენტები. რომელთაც ნაკლები უფლება ჰქონდათ.

როდესაც ფედერალისტური მოძრაობა ჩააქრეს, სადეპარტამენტო მართებლობას უბრალო საქმეებილა მიანდვეს.

მთელი უფლება ქალაქის თვითმართველობას ან სოფლის პატარა რაიონს, ე. ი. კომმუნა ჰქონდა. კომმუნებმა შექმნეს გაერთიანებული რესპუბლიკა, ახალი საფრანგეთი.

მთელი საფრანგეთი მოფენილი იყო იაკობინური კლუბებით. ეს კლუბები წარმოადგენდენ წინად კონსტიტუციის მომხრე საზოგადოებათ და პირველად ბურჟუაზიული იყვნენ. შემდეგ ისინი თანდათან შეიქნენ დემოკრატიულ, მონტანიარულ, სანკიულოტურ, ფანატიკურ მომხრეებად ერთობისა და თანასწორობისა.

როდესაც ფედერალისტური მოძრაობა ჩაქრა, მთავრობა ცდილობდა აღმოეფხვრა კლუბებში ფედერალისტური სული.

ეს კლუბები არა თუ სიტყვით, პროპაგანდით, არამედ საქმითაც ეხმარებოდენ მთავრობას.

კომიტეტი თავდაცვისა შემწეობას აძლევდა ფული ამ კლუბებს.

და ეს კლუბები იყვნენ ის იარაღი, რომლის შემწეობითაც საფრანგეთი გაერთიანდა, შეიქნა ცენტრალისტურ რესპუბლიკად. ამას მოითხოვდა სამხედრო აუცილებლობა. მაშასადამე, ამ კლუბებმა იხსნეს საფრანგეთი განსაცდელისაგან.

21 მარტს 1793 წ. კონვენტმა გამოსცა დეკრეტი: კომმუნას, ან კომმუნის სექციას, უნდა აერჩია კომიტეტი, 12 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ყური უნდა ეგდო მტერთა ქვეყნებიდან მოსულთა და უცხოელთათვის. პარიზის სექციებისაგან არჩეულ კომიტეტებს ერქვათ რევოლიუციონური კომიტეტები. მათ მოიპოვეს უფლება ყურის გდებისა ყველა მოქალაქეზე.

ქალაქებსა და დეპარტამენტებში ზოგიერთან გაჩნდენ კომიტეტები საზოგადო თავდაცვისა, რომელნიც მოქმედებდენ ხსენებულ კომიტეტებთან ერთად.

სხვადასხვა დეკრეტით ამ კომიტეტებს ხან აუქმებდენ, ხან ეხმარებოდენ ან განაახლებდენ ხოლმე.

17 სეკტემბერს 1793 წ. კონვენტმა გამოსცა დეკრეტი: ამ წლის 21 მარტის დეკრეტით დაარსებული ზედამხედველი კომიტეტები (კომმუნების ან მათი სექციების მიერ არჩეულნი) მოვალე არიან შეადგინონ სია საეჭვო მოქალაქეთა და გასცენ ბძანება მათი დატუსაღებისა.

ამ კომიტეტებს, რომელთაც უწოდეს რევოლიუციონური კომიტეტები, დაუქვემდებარეს სამხედრო ძალა.

17 სეკტემბრის კანონის მეორე მუხლი ამბობს: საეჭვო პირად ითვლება: 1) ყველა ის, ვინც თავის მოქმედებით, სიტყვით, საეჭვო ნაცნობებთან დამოკიდებულებით. წერით ცნობილია, როგორც მომხრე ტირანიისა და ფეოდალიზმისა და მტერი თავისუფლებისა: 2) ის, ვისაც არ შეუძლია გაამართლოს თავისი ცხოვრების წყარო; 3) ვისაც არ აქვს სამოქალაქო კეთილსაიმედოების მოწმობა; 4) გადაყენებული მოხელე. 5) ის აზნაური (ან მისი ცოლი, შვილი, ძმა, და), რომელმაც ვერ დაამტკიცა სიყვარული რევოლუციისადმი, და ის პირი, რომელიც ემიგრანტებს ემსახურებოდა; 5) ის, ვინც გავიდა საფრანგეთიდან 1 ივლისიდან 1789 წლიდან 30 მარტ.—8 აპრ. 1792 წ. დეკრეტის გამოცემამდის, კიდევაც რომ დაბრუნებულიყო იმ ვადაზე. რომელსაც დეკრეტი მოითხოვს, და თუნდ უფრო ადრეც.

ცხადია, ამ დეკრეტის ძალით ყოველი კაცის გამოცხადება შეიძლებოდა საეჭვოდ.

საფრანგეთი შეიქნა სამხედრო ბანაკად, რომლის მოქალაქეთა უმეტესობა საეჭვო, არაკეთილსაიმედო პირებად იყო გამოცხადებული.

ზედამხედველი კომიტეტები ბოროტად ხმარობდენ თავის უფლებას და უსაბუთოდ ატუსაღებდენ მოქალაქეთ.

18 ოკტ. 1793 წ. დეკრეტის ძალით, კომიტეტებს დაევალათ, ოქმებში აღენიშნათ დატუსაღების მიზეზები, და უკანასკნელი ინსტანცია ამ საქმეში—საზოგადო თავდაცვის კომიტეტი უნდა ყოფილიყო. პარიზის რევოლიუციონურმა კომიტეტებმა იუარეს და რობესპიერის წინადადებით კონვენტმა მალე გააუქმა ეს დეკრეტი.

ბოლოს ამ კომიტეტებს ხალხი კი აღარ ირჩევდა, არამედ კონვენტის ემისსარები და ხანდახან თავდაცვის კომიტეტი.

იმავე დროს რევოლიუციონური კანონების განმარტება და გამოყენება მიანდვეს კომიტეტებს მუნიციპალიტეტებთან ერთად. ამ კომიტეტების თავჯდომარენი უნდა გამოცვლილიყვნენ ყოველს ორ კვირას. კომიტეტებს უნდა აღენიშნათ დატუსაღების მიზეზები და ყოველ 9 დღეს წარედგინათ თავისი მოქმედების ანგარიშები საოლქო მმართველობისა, ან საზოგადო მშვიდობის კომიტეტისათვის.

ამგვარად განხორციელდა ცენტრალიზაცია დატუსაღების საქმეში.

ამ კომიტეტების ქსელი მოედვა მთელ საფრანგეთს. ყველგან იყვნენ დაყენებული ყარაულები, რომელნიც ამოწმებდენ პასპორტებს, ვინაობის მოწმობათ, აპატიმრებდენ საეჭვო პირებს და სხ. ამ ზომების წყალობით როიალისტები ვეღარ შევიდენ ვანდეაში და ვეღარ ააჯანყეს ეს მხარე უცხოელთა შემოსევის დროს.

მაგრამ ამ ქსელში კარგი ფრანგებიც გაებმენ. ბევრი ავი კაცი შევიდა კომიტეტებში, რომელნიც, ამიტომ, ხშირად კარგ მოქალაქეთ—ატუსაღებდენ. ზოგიერთი კომიტეტი უდანაშაულო პატრიოტებს ბეგრავდა და ხან კიდევაც კლავდა. ბევრი იქნა დასჯილი შურისძიებით.

ემისსარები სასტიკად სჯიდენ მკვლელებს. მათ არ უყვარდათ ეს კომიტეტები და ცდილობდენ გაეწმინდათ არასაიმედო წევრთაგან, მაგრამ მორჩილი წევრები ვერ იშოვეს.

მკითხველებმა კარგათ უნდა იცოდენ, თუ ვინ ბძანდებიან გამგეობის წევრებათ და ისიც უნდა ახსოვდესთ, თუ რა ამოქმედებთ ამ ვაჟბატონებს. ჯერ შარშან ალ. წერეთელს აუტყდენ, როგორც განსაზღრულ ჯგუფის მეთაურს, და, ვინ იცის, რა უგვანო და შეუფერებელი ცილისწამება არ შეთხზეს, მაგრამ ვერას გახდენ; წელს ბ. რონიშვილი ამოიღეს მიზანში და უნდათ, მას ჩირქი მოსცხონ, რადგან იგი ღირსეულად ემსახურება თავის წმინდა საქმეს. ბ. რონიშვილს, როგორც ალ. წერეთელს, სტუდენტობაში დიდი ნდობა და სიყვარული აქვს დამსახურებული. ეს, რასაკვირველია, ვერ აიტანა მოწინააღმდეგე ბანაკმა და ზოგიერთმა, პირადი ინტერესებით გაჟღენთილმა, წელსაც იმ საშუალებას მიმართა, როგორსაც წასულ წელს ჰქონდა ადგილი: მოპირდაპირის დამცირება არა ფაქტებითა და სიმართლის საშუალებით, არამედ სიცრუით და ტყუილების მოგონებით.

„ბ. რონიშვილი საზოგადო გაფიცვების დროს ლექციებზე დაესწროო", ამცნეს გულუბრყვილო მკითხველებს. მერე დაამტკიცეს ეს? სად გინახავთ, ბატონებო, იმისთანა დაწესებულება, ან სასამართლო ან გამგეობა, რომელიც სხვისი ჩავონებით თავის წევრსს ბრალს სდებს, თვით წევრს არაფერს კითხავს, მართალია თუ ტყუილი ეს ბრალდება და მკითხველებს ახარებს; ახალი ამბავი გაიგეთ. ჩვენი მოპირდაპირე მთელი ხალხის მოღალატე ყოფილაო. სწორეთ ასე მოიქცა ხარკოვის ვითომდა „გამგეობა"-ც.

ნუთუ დღეს გაიგო „ჩვენმა გამგეობამ" ბ. რონიშვილის საქმე? გაფიცვები თებერვალში მოხდა და მას აქეთ ხუთი თვე სრულდება სად იყვნენ ამდენ ხანს? თუ ბ. რონიშვილი საზოგადო გაფიცვების დროს ლექციებზე დადიოდა, უთუოდ ხარკოვშივე გაიგებდით ამას და არა ქუთაისში? თუ ეს ასე იყო, მიუდგომელი გამგეობა ვალდებული იყო დაებარებია ბ. რონიშვილი და საქმის ვითარება გამოერკვია და მერე შეეძლოთ მოღალატეთ გამოეცხადებიათ. მაგრამ ასე ვერ მოიქცეოდით, რადგან თქვენ სიმართლის გაგება კი არ გსურდათ, არამედ რონიშვილის დამცირება.

თქვენ კი, წერეთლისა და რონიშვილის პირადო მტერო (თვითონ მიხვდება ვინ არის), გირჩევნიათ, სოროებში ძრომას თავი დაანებოთ თვარა პოლიტიკა შორს გადაგისვრისთ.

განი.

## ხ ო ნ ი.

წარმოდგენების საქმის მოსაწყობათ წელსაც აირჩიეს დრამატიული ჯგუფის გამგეობა. მსახიობების მოწვევაში წელს ვერ გამოიჩინა იმდენი ფხიანობა, რამდენიც წინა წლებში. მართალია, წელს ჯამაგირები შეამცირეს, მაგრამ ამ ჯამაგირებითაც შესაძლებელი იყო უკეთესი ძალების მოწვევა. მოიწვიეს და უკვე ჩამოვიდა ა. ყალაბეგიშვილი და შ. ხონელი, პირველი რეჟისორათ იქნება.

ძალიან უსამართლო დადგენილება გამოუტანია გამგეობას ლექციების საკითხავათ თეატრის მიქირავების შესახებ. ხონში ახლა ერთადერთი თეატრია, რომელიც მათ აქვთ აღებული და, სარგებლობენ რა ამით, ძალიან დიდ ფასს ახდევინებენ ლექტორს. მაგალითად, ლექტორმა რამდენიც უნდა შემოუვიდეს, მათ უნდა მისცეს თუმანი თეატრის ქირათ,ð თუ შემოსავალი 5 თუმანზე მეტი იქნა, მაშინ ოც პროცენტს აიღებენ კიდევ. ასეთი დიდი გადასახადი ლექტორებს დააფრთხობს, ვინაიდან ლექციებზე ძალიან მცირე გეგენლები ესწრება პროვინციაში, ფასებიც ლექციაზე შესასვლელი სახალხოა და, თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ თუმანი ერთობ ბევრი გადასახადია.

ამას თქვენი ჭირი წაუღია, რომ გამგეობა სხვა მხრით არ იჩენდეს თვითნებობას. თეატრს, როდესაც შენ გინდა, არ მოგაქირავებს. მაგალითად, კვირას რომ წარმოდგენას მართავდეს, ის არ მოგაქირავებს თეატრს არც შაბათს და არც პარასკევს. თეატრის დაქირავებაც არ სწარმოებს წესიერათ. ახლ იყო ასეთი შემთხვევა. უნდოდათ თეატრი სამშაბათისათვის ექირავებიათ. გამგეობა გადაწყვეტილ პასუხს არ გაძლევს, ვილაცას შევპირდით და, თუ არ მოვიდა, ინებეთო. ამგვარათ თეატრის დაქირავება არსად არ შეიძლება და მიკვირს თუ რისთვისაა ასე ხონში. დაპირებას, ხათრს ადგილი არ უნდა ქონდეს და თუ ვინმეს თეატრი დაჭირდება კანონიერი უფლებით უნდა აიღოს ის. რა უფლება აქვთ სამშაბათისათვის უარი უთხრან კაცს, როდესაც ის ამ დღისათვის სხვას არ აქვს აღებული?

დრ. ჯგუფის გამგეობა აფიშების გაკვრის ნებასაც არ იძლევა, ვიდრე მისი წარმოდგენა არ დასრულდება, და აფიშები შემდეგ შევიძლიათ გააკრათო. ასე რომ, ორშაბათს რომ წარმოდგენა გინდოდეს ორშაბათ დილას უნდა გააკრათ. უფლებით ასე სარგებლობა—თვითნებობაა. ყველგან ყოფილვარ, მაგრამ ამგვარი თვითნებობა არც ერთ დრ. საზოგადოებისათვის არ შემინიშნავს. დრამატიული ჯგუფის გამგეობის ეს თვითნებობა საზოგადოებისათვის ძალიან ცუდია: საზოგადოებას ბევრს შინაარსიან ლექციას მოაკლებს თეატრის მიქირავების ეს წესი.

გო ლა.

# რუსეთი.

## (ჟურნალ-გაზეთებიდან).

### ჩხეიძის პასუხისგებაში მიცემა.

21 ივნისს მოხდა სახელმწ. საბჭოს პირველი დეპარტამენტის სხდომა ჩხეიძის საქმის გამო, რომელიც არა ჩვეულებრივ პირობებში შესდგა: არ იყვნენ სხდომაზე დეპარტამენტის თავჯდომარე საბუროვი, რაც იშვიათად ხდება და მანუხინი. ამ უკანასკნელებმა წინა სხდომებზე ის აზრი გამოსთქვეს, რომ არ შეიძლება ჩხეიძის პასუხისგებაში მიცემა 129 მუხ. ძალით. თავჯდომარეობდა სტიშინსკი, დაესწრო სხდომას აგრეთვე იუსტიციის მინისტრი. განიხილეს სისხლის სამართ. საკასაციო დეპარტამენტის ობერპროკურორის დასკვნა, რომელიც ემყარება—რა სენატორ ბულგინის გამოძიების მასალებს, სცნობს აუცილებლათ მიეცეს ჩხეიძე უმაღლეს სასამართლოს 129 ძალით. როცა აღიძრა საკითხი იმის შესახებ, არის რამე თუ არა ჩხეიძის სიტყვაში ისეთი, რომ იგი 129 მუხ. ძალა იქნეს მიცემული სამართალში, სტიშინსკიმ და კობილინსკიმ განაცხადეს, რომ ჩხეიძის სიტყვაში არის დანაშაულობა 128 მუხ. ძ. განხილულიო. მაგრამ იუსტიციის მინისტრის აზრის თანახმათ დეპარტ. გადასწყვიტა მიეცეს ჩხეიძე სამართალში 128 და 129 მუხ. ძალით.

(რ. ვ.).

### XVI არქეოლოგიური კრება.

22 ივლისს პსკოვში მოხდება XVI არქოლოგიური კრება, შემდეგ კი ნოვგოროდში და დასრულდება 6 აგვისტოს. კრებას ცხრა განყოფილება ექნება, წაიკითხვენ მოხსენებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელოვია აქვთ რუსეთის სახელმწიფოს ისტორიისთვის. კრებაზე მოელიან უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებათა და საზოგადოებათა 400-დი წარმომადგენელს. მოელიან აგრეთვე ცნობილ მეცნიერებს საზღვარგარეთიდან და ფინლანდიიდან.

(რ. ს.).

### მიწების ყიდვა პალესტინაში.

კიევიდან ცნობაა: როგორც ვიცით, ბროდსკიმ პალესტინაში იყიდა ერთი ათასი დესეტინა მიწა, სადაც დაესახლებიან აქიდან გადასახლებული ებრაელნი. ამის გამო აქ ახლა დაარსდა ებრაელთა საპლანტაციო საზოგადოება, რომელიც მიწებს შეისყიდის პალესტინაში. (რ.).

### კრება ერობათა ფინანსების შესახებ.

ამ დღეებში მინისტრთა საბჭოში შეიტანეს წინადადება, რომელიც აღძრა მოსკოვის ერობამ: კრების მოწვევის შესახებ, რომელზედაც განიხილვენ ერობათა ფინანსების გაუმჯობესების საკითხს. როგორც ამბობენ, მინისტრი მაკლაკოვი თანახმაა კრების მოწვევაზე. (რ. ვ.).

### ტუსაღების გაქცევა.

ქ. ნოვოსილიდან იტყობინებიან, რომ სამაზრო სატუსაღოდან გაქცეულა სამი ტუსაღი. მათ დაუნგრევიათ იატაკი, შემდეგ შენობის საძირკველი, გაუკეთებიათ იქიდან ხვრელი და მიმალულან. ჯერჯერობით მათ კვალს ვერ მიაგნეს.

(რ. ს.).

### არქიეპისკოპოზი ანტონი.

არქიეპისკოპოზ ანტონის ხარკოვის ეპარქიაში გადმოყვანამ დიდი სიხარული გამოიწვია ადგილობრივ მოკავშირეთა ორგანიზაციებში. დღემდი მათ არავითარი გავლენა არა ჰქონდათ. ახლა მოკავშირეებს ჰქონდათ რამდენიმეჯერ საიდუმლო თათბირი. გადასწყვიტეს: ადგილობრივ მემარჯვენე ორგანიზაციები შეერთდენ და განავითარონ თავისი მოღვაწეობა სამღვდელოების დახმარებით უკანასკნელ სხდომაზე არქიეპ. ანტონი აირჩიეს ,,ხარკოვის რუსის ხალხის კავშირის" საპატიო წევრათ. ანტონისგან ელიან მოკავშირენი სამღვდელოებისადმი ,,შესაფერ'' ცირკულიარებს. (რ. ს.)

# უცხოეთი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### სამი წლის სამხედრო სამსახური საფრანგეთში.

დეპუტატთა პალატის სამხედრო კომისიის თავჯდომარემ გენ. პედუიამ გაუცხადა გაზ. „სანტერნე-ს" თანამშრომელს, რომ სამი წლის სამხედრო სამსახური აღემატება საფრანგეთის ქონებას და ძალებს, რადგან ხალხის რიცხვი მხოლოდ 40 მილიონ სულს შეადგენს. სამი წლის სამხედრო სამსახური მოაკლებს სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობას მუშა ხელსო. (რ.)

### ჟორესი საფრანგეთის დაცვის შესახებ.

სოციალისტთა მიტინგზე როშფორში ჟორესმა განაცხადა, რომ სოციალისტები სულაც არ არიან ანტიმილიტარისტები, ან ისეთნი, რომ არ ჰქონდეთ პატრიოტული გრძნობა [illegible] არ სურთ აყარონ [illegible] საფრანგეთს, ვიდრე ამას სხვებიც არ იზამენ. მხოლოდ სოციალისტებს უნდათ შექმნან ნაციონალური ჯარი დემოკრატიულ საფუძველზე. საფრანგეთმა არ უნდა გამოაცხადოს ომი იმ დრომდი, ვიდრე რომელიმე სახელმწიფოს არ მოუვა მასთან კონფლიკტი და უარს არ იტყვის სამედიატორო სასამართლოზე, ან ვიდრე რომელიმე სახელმწიფო არ შეეხება საფრანგეთის საზღვრებს.

### ებრაელთა აწიოკება რუმინიაში.

ანტისემიტიურმა აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო და პოგრომები გამოიწვია. ქალაქ ოდებედშტში ბრბომ დაარბია ებრაელთა მაღაზიები და სახლები. წესიერების დაცვის დროს სუბუქათ დაშავდა რამდენიმე „პოგრომჩიკი". ამის გამო შავრაზმელთა ბელადმა დეპუტატმა, პროფ. კუზამ შეკითხვა მისცა პრემიერ-მინისტრს, რა ზომებს მიიღებს იგი ებრაელთა და იმ პოლიცელთა წინაამდეგ, რომელნიც იცავენ ებრაელთ. შინაგან საქ. მინისტრი შეპირდა, რომ საქმის გამოძიების შემდეგ პასუხს მოგცემო.

(რ.)

### სუფრაჟისტები.

ედინბურგში, როცა რკ. გზ. სადგურიდან ეტლით მოდიოდენ ინგლისის მეფე და დედოფალი, ერთმა სუფრაჟისტმა ისროლა ეტლში სუფრაჟისტთა ბროშიურები და ქაღალდის ბურთი წარწერით: „ქალები შევიწროვებას განიცდიან".

### ავსტრიის ნოტა.

ავსტრო-უნგრეთის მინისტრთა სხდომამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უმთავრესი საკითხი, რომელიც გადასწყდა სხდომაზე, არის ნოტა, რომელსაც სერბიას წარუდგენენ და რომელიც ეხება როგორც იურიდიულს, ისე პოლიტ. მხარეებს სარაევოში მომხდარ მკვლელობისას. როგორც ამბობენ სერბიას მოსთხოვენ, რომ შემდეგში არ მოხდეს ასეთი ამბები და მოისპოს დიდი სერბიის პროპაგანდა. როგორც ამბობენ, ამავე სხდომაზე განუხილავთ აგრეთვე საკითხი ბოსნიაში ადგილობრივი პრესის გავრცელების შეზღუდვის შესახებ. (რ. ს.)

### რუსეთი და საფრანგეთი.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში პუანკარეს რუსეთში მოგზაურობისთვის

---

დიდი ბოროტება წარმოიშვა ამ კომიტეტებისაგან, მაგრამ იმავე დროს მათ დიდი ამაგიც დასდვეს: მათი წყალობით შინაური მტრები ვერ შეუერთდენ გარეშე მტრებს.

4 დეკემბერს 1793 წ. დეკრეტმა დაადასტურა ომიანობის დროის კონსტიტუცია, რომელმაც კომისსარების ნაცვლად საერო აგენტები დააწესა. და აღმასრულებელი უფლება საზოგადო თავდაცვისა და მშვიდობის კომიტეტებს მიანდო.

ცოტა ხანს შემდეგ გააუქმეს აღმასრულებელი საბჭო და დააწესეს აღმასრულებელი კომმისიები, რომელნიც დაუმორჩილეს ორს ხსენებულ კომიტეტს.

ამ დროს რევოლიუციონური მმართებლობის ხელში იყო მთელი სახელმწიფოებრივი ძალა და უფლება.

10 აგვისტომდის 1792 წ. კიდევ იყო კანონიერება და თავისუფლება. აგვისტოში და სექტემბერში 1793 წ. მთლად გაუქმებული იყო 1789 წლის პრინციპების ძალა და მოქმედება.

რა იყო ამის მიზეზი? სამხედრო განსაცდელი და შიმშილის მოლოდინი. ამ დროს, მართალია, ვანდეის აჯანყება და ფედერალისტური მოძრაობა თითქმის ჩამქრალი იყო, მაგრამ გარეშე მტრები შემოესივნენ საფრანგეთს ელზასში და პირენეის მხრიდან; ლიონი აჯანყდა; ტულუზა დანებდა ინგლისელებს 28 აგვისტოს 1793 წ. და პარიზი ისე იყო აღელვებული, როგორც ერთი წლის წინად. სექტემბრის მკვლელობათა წინადღეს ამას გარდა შიმშილის მოლოდინშიაც იყვნენ.

აგვისტოსა და სექტემბერში 1793 წ. პარიზელებს ეშინოდათ დამშევისა და ამ უბედურებას შინაურ მტრებს აბრალებდენ. ხალხი რომ დაემშვიდებია, მთავრობამ მიჰმართა ტერრორს, შიშინებას, მაგრამ ცდილობდა ზომიერებას არ გადამცდარიყო. იმავე დროს კომმუნამ მოიპოვა ნებართვა შეედგინა რევოლიუციონური ჯარი, რომელსაც ძალით უნდა ეშოვა საკვები. ნამდვილად კი თვითონ მთავრობამ იშოვა საკვები მშვიდობიანი გზით. და რევოლიუციონური ჯარი, რომელიც მხოლოდ ხელს უშლიდა საქმეს, მალე გააუქმეს.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება სავსებით მხოლოდ კონსტიტუციონური მონარქიის დროსო იყო.

დემოკრატიული რესპუბლიკის დროს კი, თუმცა პრინციპი ბეჭდვის თავისუფლებისა აღსარებული იყო, მაგრამ სისხლის სამართლის კანონები თითქმის აუქმებდენ ამ თავისუფლებას.

1792 წ. 4 დეკემბრის კანონით სიკვდილით უნდა დასჯილიყო ის, ვინც აღნიშნავდა მიწის საერთო მფლობელობის აუცილებლობას და, საზოგადოდ, კერძო საკუთრების გაუქმებას.

31 მაისამდის 1793 წ. როიალისტურსა და სოციალისტურ პრესსას არ ჰქონდა თავისუფლება, მაგრამ მონტანიარებსა და ჟირონდისტებს შეეძლოთ ჰქონოდათ თავისუფალი პაექრობა, კამათი.

31 მაისიდან კი ჟირონდისტული ჟურნალები უნდა გაჩუმებულიყვნენ.

მაშინ მარტო მონტანიარების პრესსა იყო თავისუფალი.

1793 წლის ბოლოს მონტანიარებს შორის სამი მიმართულება იყო: დანტონისა, რობესპიერისა და ჰებერტისა. ამ სამ მიმართულებას შორის იყო თავისუფალი კამათი.

პრესსა, ბეჭდვითი სიტყვა შეიქნა მთავრობის მიერ დამონებული, დამოკიდებული.

გავლენიან გაზეთებს მთავრობა უმართავდა ხელს და ხელმძღვანელობდა.

არავითარი გამოცხადებული ოპპოზიცია არ იყო შესაძლებელი.

სიტყვის თავისუფლება თითქმის აღარ იყო დანტონის სიკვდილს შემდეგ (აპრილში 1794 წ.).

მას შემდეგ, ვინც მთავრობის მომხრედ არ გამოაცხადებდა თავს კლუბებში და სხვა კრებებზე, საეჭვო პირად ითვლებოდა.

თვით კონვენტში აღარ იყო აღარც სიტყვის და აღარც ხმის მიცემის თავისუფლება და ეს კრება, რომელიც შიშის ზარსა ჰგვრიდა ევროპას, თვით იყო შეშინებული რობესპიერისა და მისი კომიტეტების მიერ.

ეშინოდათ ემიგრანტების, მოინდომეს ემიგრანტის პიროვნების შეზღუდვა—და შეზღუდეს საზოგადოდ პიროვნება.

ემიგრანტად ითვლებოდა 14 წლისაზე უხნესი ყოველი ფრანგი, კაცი თუ ქალი, რომელიც საფრანგეთიდან გავიდა 1789 წ. 1 ივლისს შემდეგ და არ დაბრუნებულიყო იმ ვადაზე, რომელიც დანიშნა 1792 წ. 30 მარტის დეკრეტმა, იმავე წლის 8 აპრილს მეფის მიერ დადასტურებულმა. ეს ვადა გავიდა 9 მაისს 1792 წ. ამას გარდა ემიგრანტად ითვლებოდა ისიც, ვინც პარიზიდან გავიდა ნებადაურთველად, ნებართვა კი მხოლოდ ვაჭრებსა და მრეწველებს ეძლეოდათ. ერთი სიტყვით, ფრანგნი მოამწყვდიეს საფრანგეთში, როგორც სატუსაღოში!

1793 წ. 28 მარტის კანონმა ყველა ემიგრანტი სამუდამოდ განდევნილად გამოაცხადა და, ვინც ამ კანონს დაარღვევდა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

50 წლის განმავლობაში ყველა ემიგრანტის ქონება სახელმწიფოს ხელში უნდა გადასულიყო.

ეს კანონები იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელნიც საფრანგეთიდან არ გასულიყვნენ.

ემიგრანტების სიას ადგენდა კომმუნა, ან მუნიციპალიტეტი. საკმაო იყო ორი დამბეზღებელის მოწმობა რომ მოქალაქე სიაში შეეტანათ.

ვინც მოხვდებოდა სიაში, ნება ქონდა მოეთხოვა ერთი თვის განმავლობაში, ამოეშალათ მისი სახელი. მაგრამ, ჯერ ერთი, ბევრმა არც კი იცოდა, იყო თუ არა ჩაწერილი სიაში; და, მეორე, თავის გამართლებისთვის 8 კაცის მოწმობა იყო საჭირო, და, რადგან ემიგრანტებისადმი თანამგრძნობთაც ემუქრებოდა კანონი, ძნელი იყო მოწმეების შოვნა.

სამხედრო განსაცდელივე იყო მიზეზი, რომელმაც წარმოშვა რევოლიუციონური სასამართლო ან ტრიბუნალი.

ბელგიის ჯარის დამარცხების ამბავი დავარდა. ამან გამოიწვია 9 და 10 მარტს 1793 წ. პარიზის აჯანყება და ბევრმა სექციამ მოითხოვა რევოლიუციონური ტრიბუნალის დაწესება. და 10 მარტს დანტონის წინადადებით კონვენტმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც პარიზში დაწესდა საგანგებო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, რომელიც განაგებდა თავისუფლების წინააღმდეგ შეთქმულობასა, რევოლიუციის მტრობასა, ანტი-რევოლიუციონურსა ან ანტირესპუბლიკურ მოქმედებასა და განზრახვას, და სხ. ეს ტრიბუნალი ინიშნებოდა კონვენტის მიერ. ტრიბუნალი შესდგებოდა: ნაფიცი მოსამართლეებისა, გენერალური პროკურორისა და ორი მისი თანაშემწისაგან. ტრიბუნალის მსჯავრი იყო საბოლოო. კასსაცია და აპელლაცია არ შეიძლებოდა.

ამ რევოლუციონურმა ტრიბუნალმათავზარი დასცა როიალისტებს, რესპუბლიკის უარმყოფელ მღვდლებსა და კონტრრევოლიუციის ყველა აგენტს და ამით ხელი შეუწყო საფრანგეთის ხსნას განსაცდელისაგან.

მაგრამ ეს სასამართლო მალე პირადი შურის ძიების იარაღად შეიქნა. მან ჯერ ნამდვილი მტრები დასაჯა, შემდეგ კი თვით რევოლიუციონერები.

როდესაც საზოგადო თავდაცვის დიკტატურა რობესპიერის დიკტატურად გარდაიქმნა, კუტონისა და რობესპიერის წინადადებით ბრალდებულს წაართვეს დამცველი და მოწმე. საკმაო იყო, ბრალდებულის დანაშაულობა თუ სჯეროდათ მსაჯულებს, და მატერიალური საბუთები, დამამტკიცებელი დანაშაულობისა, აღარ სჭირდებოდათ. განაჩენი--სიკვდილით ისჯებოდა. ეს ნამდვილი სამხედრო-საველე სასამართლო იყო. და უბედურება კიდევ ის იყო, რომ ტრიბუნალის შემადგენლობა რობესპიერის ფანატიკური მომხრეებისაგან შეივსო. და 14 თვისა და 19 დღის განმავლობაში ამ ტრიბუნალმა 2.596 კაცს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა.

მათ შორის ბევრი იყო უდანაშაულო, რადგან საქმეებს სწრაფად არჩევდენ. ეს იყო ამოხოცვა ბრალიანთა და უბრალოთა, ღირსი ინკვიზიციისა, დასაგმობი და შესაჩვენებელი, მით უფრო, რომ ამ დროს გარეშე მტერი უკვე მოგერებული იყო.

შემდეგ დააწესეს ექვსი სახალხო კომმისსია, რომელთაც უნდა გაესამართლებიათ ტუსაღები. მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთი მუშაობდა.

რევოლიუციონური ტრიბუნალები იყვნენ პროვინციებშიაც, მაგრამ ერთგან რომ გააუქმებდენ, სხვაგან ისევ დააწესებდენ ხოლმე.

სალდათები აბეზღებენ აფიცრებს. და მაბეზღრებ სხშირად უსმენდენ.

აზნაურებს და უცხოელებს აუკრძალეს ცხოვრება პარიზში, ზღვის პირის ქალაქებში, ციხე-სიმაგრეებში.

ფანატიზმი საერთო დამახასიათებელ თვისებად გარდიქცა.

ისარი.

სავაჭრო სახლი
**ი. გოკიელის** შვილების
ქუთაისში.
შაბიაშვილის სოთხით

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის
**ძლიერ ზომიერ ფასად** ნამდვილი ინგლისური **შაბიამანი,**
გოგირდის ფხვნილი, ყაჭმენის სითხე. ტ. ტ.

ვენახების საქიმო მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.
მანქანების ყოველგვარი რეზინებისა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
**ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.** მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ფაიფურისა ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.


ფულის გადადების საკითხის განხილვის დროს ჟორესმა სოციალისტების სახელით განაცხადა, რომ თუმცა სოციალისტებს ესმისთ რუსეთ-საფრანგეთის კავშირის ისტორიული მნიშვნელობა, მარა მაინც წინააღმდეგი არიან ფულის გადადებისა, რადგან პუანკარეს რუსეთში წასვლის კავშირი აქვს ახალი საიდუმლო ხელშეკრულობის დადებასთან, რა ეწინააღმდეგება საფრანგეთის დემოკრატიულს რეჟიმსო. შემდეგ იგი შეეხო მდგომარეობას რუსეთში და განაცხადა: ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რუსეთი დაადგებოდა პროგრესის გზას, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ ახლა კონსტიტუცია არ არსებობს. ახლანდელი სახელმწ. სათათბირო ჩვენთვის არ შეადგენს გარანტიას. აქ კი შემარჯვენეებმა მას სიტყვა შეაწყვეტინეს: ჩვენი საქმე არის რუსეთის შინაური პოლიტიკის განხილვაო, ჟორესს უპასუხა პრემიერმა ვივანმა. პალატამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა გადაიდვას ფული.

## ქ. ყაუხჩიშვილის კერძო საქალო გიმნაზიაში.

კურსდასრულებულთა მოგზაურობა გელათში.

20 ივნისს, დილის მატარებლით გელათს გაემგზავრენ ყაუხჩიშვილის საქალო გიმნაზიაში კურს დასრულებულნი, რიცხვით 22, სასწავლებლის უფროსის ქ. ყაუხჩიშვილის, საღმთოსჯულის მასწავლებლის ღვდ. ცქიტიშვილისა და სხვა მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. მოგზაურობის მიზანი მონასტრის უძველესი ნაშთების დათვალიერება იყო. გელათის სადგურიდან დაახლოვებით მონასტრამდი სამი ვერსი მანძილია, მშვენიერი ბუნების თვალწარმტაცი სანახაობით, თუმც ხელცარიელი არავინ ვიყავით, მაგრამ სიამოვნებითა და დაუღალავათ გავიარეთ გრილ ზაფხულის დილაზე.

მწვანეთ აბიბინებული ფართო გალავანი, შიგ საკვირველი ხელოვნებით აღმართული ვეებერთელა ტაძარი, მის შორიახლო გარშემო კიდევ სხვა ძველი ტაძრები და ნანგრევები, გარშემოწკრივებული სუფთა და კოხტა საცხოვრებელი შენობებით მაღალი მთის სუფთა ჰაერი და ჰაერში შენობების სწორა მოჭიკჭიკე ურიცხვი ფრინველი რაღაც არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ყველაზე.

წირვას შეუდგა მორიგი ღვდელმონაზონი. ჩვენ მოვისმინეთ წირვა, რომლის შემდეგაც საღმთოსჯულის მასწავლებელმა მ. პ. ცქიტიშვილმა შეასრულა სამადლობელი პარაკლისი და დაურიგა სათითაოდ მათ სახარება. პარაკლისის წინ მიმართა მათ მოკლე სიტყვით, რომელშიაც დაახლოებით უთხრა შემდეგი: „იმის წარმოდგენამ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით, სევდა აწვია ჩემ გულს. მცირე ხანს ვიყავი მე თქვენთან, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მე მაინც განვიცადე მამაშვილური სიყვარული თქვენდამი. თქვენმა კარგმა ხასიათმა, სპეტაკმა ზნეობამ, შრომის მოყვარეობამ, დაუღალავმა მეცადინეობამ ჩქარა მიიმხრო ჩემი გული და მიუხედავად მცირე ხნის თქვენთან ყოფნისა, ვიმეორებ, შეგიყვარეთ თქვენ მამაშვილური სიყვარულით. აი, ასეთ კავშირს შემდეგ, ვიმეორებ, აუცილებელმა განშორებამ სევდა მომგვარა გულს. მაგრამ ეს სევდა სიხარულად მეცვლება იმის მოფიქრებით, რომ თქვენ დღეს ბედნიერი გახდით თქვენი პირდაპირი მიზნის მიღწევით. თქვენ დაასრულეთ გიმნაზია, გამოდით სკოლის ვიწრო კედლებიდან და დაადექით უფრო ფართო გზას ცხოვრებისას. ეს მე მახარებს და თან მსურს მოკლე დარიგება გიძღვნათ, განსაკუთრებით იმ პირებს, რომლებიც არ ფიქრობთ სწავლის გაგრძობას სხვადასხვა მიზეზისა გამო და გსურთ ახლავე ცხოვრებაში გამოხვიდეთ. დღემდი თქვენ იყავით თქვენი აღმზრდელების მხედველობას ქვეშ, ისინი თქვენ ყოველნაირად გზას გიჩვენებდენ, დღემდი თქვენ აღმზრდელებს ეკუთვნოდით და საფრთხე ადვილად გვერდს გივლიდათ. დღეიდან კი შეხვალთ უფრო თავისუფალსა და ფართო ცხოვრებაში. მაგრამ, იცოდეთ, შრომა და სიფრთხილე აწი უფრო მეტი მოგელისთ. სწავლა სკოლაში მიღებული თქვენ არ გეყოფათ. რომ ცხოვრება თქვენ შეიგნოთ და ცხოვრებამ თქვენ შეგითვისოსთ—მუდამ იშრომეთ, მუდამ იკითხეთ და მუდამ განვითარების გზას ადეგით. რამდენი დღე გაივლის, ცხოვრება იმდენს და მეტს ახალ-ახალ საკითხებს გიკარნახებთ, ეცადეთ არ ჩამორჩეთ ცხოვრებას და ამნაირად ბედნიერება თანდათან დაიახლოვეთ. შემდეგ სთხოვა მათ, რომ დიდებული სიძველეების დათვალიერებით, გაითვალისწინონ რა დიდება წინაპირთა, ხშირად მოიგონონ მათი ღვაწლი ერის წინაშე და ცხოვრების მიზნად დაიდვან მათი მაგალითების წაბაძვა და სხვა.

შემდეგ მ. ცქიტიშვილმა დაწვრილებით დაგვათვალიერებია ტაძრის მხატვრობა, ძვირფასი ხატები და სამკაულები, გადმოგვცა მოკლე ბიოგრაფია იქვე დაკრძალულ ნეტარხსენებული გაბრიელისა, აგრეთვე ისტორია იმ ორი ხატისა, რომელიც თავით უსვენია გაბრიელს გაუქრობელი კანდელით. ვნახეთ თითქმის ყველაფერი და დიდხანს ვსტკბებოდით სიძველეებისა, მშვენიერი ბუნებისა და ცივი ანკარა წყაროს წყლის სმით, რომელიც იქვე გალავანშია, და მონასტრის მიდამოების დავლით. საღამოს ჟამს ნასიამოვნები ყოველივე ნახულით და გაგონილით დავბრუნდით სადგურისკენ ქუთაის გამოსამგზავრებლათ.

დიდ ხანს არ დამავიწყდება აქ მიღებული შთაბეჭდილება. უფროსი, მასწავლებლები და გუშინდელი მოწაფეები, დღეს კი კურსდასრულებულები, ყველა ამ დღეს ერთ მჭიდრო ოჯახს შეადგენა და ყველანი ერთი გრძნობით იყვნენ გამსჭვალული. ერთმანეთს შეტრფოდნენ. აქ სკოლის ატმოსფერა აღარ იყო, უნცროს უფროსობას თითქმის ადგილი აღარ ჰქონდა. წყნარ სადილზე სიტყვებშიაც იყო აღნიშნული, რომ, არათუ აქ გელათის მონასტრის გალავანში, არამედ თავის ადგილზეც მთელი გიმნაზია მრავალრიცხოვანი მოწაფეებითა და მასწავლებლებით ქ. ბ. ყაუხჩიშვილის მეოხებით დღეს ამ სასურველ და არა შეუმჩნეველ მდგომა-[illegible]

მოგზაურთაგანი.

## ღია წერილი.

„შრომის“ კორეს. ბ. „შუქრუთისთაველს“.

თქვენ, ბ-ნო „შუქრითისთაველო“, გაზ. „შრომის“ 16-ე №-ში ს. შუქრითიდან მოგითავსებიათ სიყალბით სავსე კორესპონდენცია, რომელშიაც დაუმსახურებლათ ჩირქს გვცხებ ადგილობრივ მასწავლებლებს. ბ-ნო შუქრუთისთაველო! თუ არ იცოდით საქმის ვითარება, რამ გაიძულათ ეს წერილი მოგეთავსებიათ? ნუთუ თქვენ არ იცით, რომ ერთი ჩვენი ამხანაგი საკრედიტო ამხანაგობის წევრთაგანია და ამ დაწესებულებას თავს დასტრიალებს? ნუთუ თქვენ არ იცით, რომ ამ ამხანაგობის ბინათ სკოლის ერთი ოთახი დაუთმეთ და მით ჩვენი თავისუფლება შევიზღუდეთ? მომხმარებელი საზოგადოების დაარსებაზე არ ზრუნავენო, ამბობთ. განა ის ზრუნვა არ არის რომ გუბერნატორს თხოვნა გავუგზავნეთ ნებართვისთვის, რაზეც ჩემი საკუთარი ჯიბით ფული 3 მან. დავხარჯე?

ამასთან ცილს გვწამებ, თითქოს წუნწუხს შევექცეოდეთ სამიკიტნოში, რაც უმზგავსო ცრუობაა, რადგანაც ყველამ იცის, რომ არც ერთი აქაური მასწავლებელთაგანი ღვინის მოტრფიალე არ არის.

ვინაიდან თქვენი კორესპონდენციით თქვენ განძრახ გაავრცელეთ ჩვენზე ჭორი და შეურაცხყოფა მოგვაყენეთ, ამიტომ გიწვევ სამედიატორო სამართალში იმ პირობით, რომ მტყუანმა მხარემ გადაიხადოს შუქრუთის მომავალ სამკითხველოსთვის ოცდა ხუთი მანეთი. დღეიდან ამ წერილის დასტამბვისა ვადას გაძლევ ერთ კვირას; თუ სამედიატორო სასამართლოზე უარს იტყვით, მაშინ იძულებული ვიქნები მივმართო ოფიციალურ სასამართლოს.

მასწ. მიხეილ იმნაძე.

## მოწოდება.

გორდის ახლათ დაარსებული უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს გამგეობა მიმართავს მორჩილის თხოვნით სხვადასხვა პირს, რომელსაც გული შესტკივა სოფლის ხალხისთვის—აღმოგვიჩინოს დახმარება წიგნით, ჟურნალ-გაზეთით თუ ფულით შემდეგ მისამართით: „Наогалеви. Смотрителю Городскаго 2-хкласснаго училища А. Іосава“. მორჩილათ ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ჩვენი მოწოდება.

გამგე სამკითხველოსი. ღვდ. რამაზოზ ჩიხლაძე.

გამგეობის მდივანი: ბეგლარ იოსავა.

## სია

ამ პირთა, ვინც შემოიტანა 1913 წლის დარჩენილი საწევრო ფული ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში,

ჯურხაძე ივანე, კოსტავა ვლადიმერ, ხვინგია ამროსი, ჩხობაძე ერმილე, გელაზანია იასონ, კაპანაძე იასონ (ღვდელი), ტყაბლაძე სერაფიონ, მაცარაძე იოსებ, მიქაბერიძე არჩილი, მალამბერაძე ივანე თედორეს ძე, ფუფაძე ვლადიმერ თედორეს ძე, ბექაია ივანე ლუკას ძე, მილორავა პროკლე ილიას ძე, მღივანი დავით ბესარიონის ძე, მელიტონ ცაგარეიშვილი (დეკანოზი), მიქაძე სერაფიონ, ჩიქოვანი ილია მამუჩარისძე და კრიჩიცკი ალექსანდრე მიხეილის ძე.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მდივანი ბრ. მოსეშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ, რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ ბ. ტ. ა. ასათიანს და ვ. ს. მეფისაშვილს თეატრ „რადიუმის“ დათმობისთვის, ი, ჯავახიშვილის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული წრის სასარგებლოთ 25 ივნისს, აგრეთვე იმ პირთაც, ვინც მუშაობა არ დაიზარა და რაიმე დახმარება აღმოგვიჩინა.

წრის მდივანი: სიმ. წერეთელი.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.


ამ მოკლე ხანში ქ. ქუთაისში გამოვა იუმორისტული ალმანახი.

„ბზიკი“

მსურველთ შეუძლიანთ მოგვაწოდონ მასალები შემდეგი მისამართით: Кутаисъ, типографія „Братство“ для „Бзики“,

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები




ყველაზე იაფად

შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებავს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებავი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

მმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.


## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ, | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| შორაპანს: | სააგარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის,

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ, | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ, | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ, | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ, | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| შორაპნიდან: | სააგარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ჩაწ., სახლი გოკიელოვის.